



იზმარი

26 ენკენისთვის უეცრად გარდაიცვალა
გიორგი ლავინის-კე ქართველი
 რასაც აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ შვილები განსვენებულისა. პანაშვიდები—ყოველ დღე საღამოს 8 საათზედ. გასვენება მიცვალბულისა—კვირას, 30 ენკენისთვის, დღის 9 1/2 საათზედ დიდუბის ეკლესიაში. (მხევილის პროსპექტი სახლი № 180).
 3—212—1

რტიკიულ საზოგადოების
 დარბაზში
ვახატოს, 29 სექტემბერს,
კონცერტი
 ბილის პიანინოზედ დამკვრელი ქალის
რ. ი. ჩერნეცკისა
 ლეგები 5 მანეთიდან 1 მან. 20 კ. ისწავლეთათვის 50 კაპ. ისყიდება უზანჯინის მუზიკალურ მაღაზიაში.
 (2—213—1)

მ კ უ რ ს ა ლ ი
ბილი გაღვენი
 ილებს ავადმყოფებს დღით—1, საღამოთი 6—7. ყორღანის ქუჩა, 16, საკ. სახლი. ტეფ. 791. (5.)

ქართველთა ქალთა
აზნაპროვის
 სამკერვალოში და სახელოსნოში იღებენ ყოველგვარ **საკმარის** კაბებს, თეთრეულს, ქარგვას და სხვადასხვანაირად ამოკეთებენ ნიწებს (ბიტი). ბარონის ქუჩა, № 12.
 (10—უ—6)

ფელეტონი
ბილიმოგრაფიო შენიშვნები
 ელიშვილის „Приединение Грузии къ Россii“, 1901 г. С. II.
 III.

უმცა შვერტების მანიფესტი გასცხადეს, მაგრამ დავით ბატონის მიანიც თავისას არ იზოილა სამეფოს განაგებდა. ჯერ მანტის თითქო ძალა არ მოეპოვნა უშინარსო ფორმის წარმოად. ავტორი მართლს ამბობს, მიხეზად შეიქმნა ის გაეგება, რომ შვერტების საქმე, ზღვე იმპერატორის დროს, ორის ვილოდა. ერთის მხრით, დათ, რომ შვერტება ნებაყოფით მომხდარიყო, მეორეს მხრით ბგაფრივე ფიქრობდნენ და იქნდნენ. ჯერ დესპანნი გაისტუმდა დაავალეს, საქართველოს რთვა მოიტანეთა და შერე ასეგება-რთვა საქიროდ არ იცნეს, მანთა დაბრუნებას არ მოუცდა ცალ-მხრივი შვერტება ამინეს. რასაკვირველია, ყოველ-

ტიზას სადავო საქმეებში; 4) პლანების გაკეთებას და სხვა საინჟინერო საქმეს.
 ნახე შეიძლება ყოველ დღე 4—6 საათ. აღრესი: I еориевская площадь № 32.
 (8—6.—1)

ტფილისის კერძო სამკურნალო

ეადნყოფათათვის კრაოტები (ერთი უფასოა).
მიხეილ გაღვენი (ერთი უფასოა).
 კეკეა, ნიკოლოზის ქუჩა, სახლი იაგიაშვილისა, № 21 (ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ).
ტელეფონი № 274.
 ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე, კვირადღეებს გარდა.

- დილით:**
3. ი. ბიჩინაძე—კბილის სნეულებანი, 8—10 საათ.
მიხეილ გაღვენი—ნერვებისა და წამლობა ელექტრონით, 9—10 საათ.
პ. ზ. ვაღარსკი. შინაგან და ბავშვებისა. 9—10 ს.
3. 3. ვაღარსკი.—შინაგან; სამშობოთი და ხუთშობოთი, 10—11 საათ.
6. პ. მულინი—ყურისა, ყელი-სა და ცხვირისა—10—11 საათ.
ი. პ. ახალაშვილი—კბილის სნეულებანი. 10—12 საათ.
პ. 8. შატილოვი—თვალის, 10—11 საათ.

პავლე იმპერატორს სწადა, საქართველოს ძველ მეფეთა ტანთ-საცმელით და მორთულობით შემეკობილიყო და ისრე მიეღო დესპანნი და დებუტანნი. მაგრამ ბედმა სხვაფრივე განაგო და იმპერატორი ვერ მოესწრო ბრწყინვალე „აუღენციკის.“ საქართველის წარმომადგენელი ჯერ ისევ. გზაში იყვნენ, როცა იმპერატორი გარდაიცვალა (12 მარტს 1801 წ.). მზადებამ ამაოდ ჩაიარა. შემდეგ წარმომადგენელი მიიღეს, მაგრამ არა ოფიციალურად, არამედ კერძოდ, როგორც ქვეშევრდომნი.

რაკი შვერტების საქმე პირველად დაადა ორს გზას, ერთი-ერთმანეთის წინააღმდეგს, უწყისობა და უთანხმოება მიუცილებელი შეიქმნა. დავით ბატონის მიწვევით, კანონიერი მემკვიდრე და სამეფო ტახტის მფლობელი მე ვარო. მართლაც და, როცა რუსეთის იმპერატორმა, თანხმად 1783 წლის ხელშეკრულებისა, გიორგი მეფედ დაამტკიცა (18 აპრილს 1799 წ.), იმავე დროს იმისი შვილი დავით ტახტის მემკვიდრედ აღიარა. მაგრამ შვერტების მანიფესტმა დავითის მემკვიდრეობა მოსპო, რადგან-

- მაიმი-ძალი მ. ს. ბაქრაძე** ბავშვებისა—11—12 ს.
დ. ა. გაღვენი—ნერვებისა და შინაგანი. 12—1 საათ.
პ. 8. ბარსკევი—დედათა სნეულებანი, ორშობოთი, ოთხშობოთი და პირდაპირი 12—1 საათ.
3. ლ. მარკაშვილი.—საქირურგო, 12 1/2—1 1/2 საათ. სამშობოთი. 3—4.
ი. დ. ვაღარსკი. სიფილისისა, კანისა და საშარდესი, 1 1/2—2 ს.
ს ა ღ ა მ ო თ ი :
ი. 6. თუშანიანი—დედათა სნეულებანი. 5—6 საათ.
პირაგორი:
3. 8. ვაღარსკი—10—12 ს. შინაგან ავადმყოფობათა. სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები.
 ფასი რჩევა-დარიგებისა 50 კაპ. ოპერაციები და კრაოტები—მორიგებით.

მიხეილ გაღვენი
 ბის ქრების თავაზდროვანი აუწყებს ყველას, ვისაც-კი ჰსურს კრებულ მონაწილეობა ვილოს, რომ **ქრება დინაზება 14 ოქტომბერს**, დღის 12 საათზედ კავკასიის საიმპერატორო სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების სადგომში.
 საქირო ცნობებისათვის მსურველთ შეუძლიან მიმართონ გამოფენაზედ მიწათ-მოქმედების განყოფილებაში კრების საქმის მართვებულს ბ-ნ ვიშნესკის დღის 10—12 საათამდე, ხოლო შემდეგ სამ საათამდე სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების ბიუროში.
 (3—200—1)

ნაც იმპერატორმა საქართველო სრულ ქვეშევრდომად აღიარა. ხოლო დავით ბატონის შვილი მემკვიდრეობასა და ტახტზედ ხელს არ იღებდა და ამ გარემოებამ გააძლიერა უიმისოდაც არსებული შფოთი და რყევა. ბატონის შვილის იულიონის ამბობება ხომ კიდევ სხვა იყო.
 უკვე აღვნიშნეთ, რომ პეტერბურგიდან მთავარ სარდალს კონინგს უბძანეს, —მეფე გიორგის სიკვდილის შემდეგ სამეფო ტახტი ცალიერი დარჩესო. როცა მეფე გარდაიცვალა, იმპერატორის სურვილი ხალხს გამოუცხადეს. რადგანაც დავით ბატონის შვილი ურჩობდა, ამიტომ ტფილისში მყოფმა რუსეთის წარმომადგენელმა გენერალმა ლაზარევმა განსაკუთრებული დროებითი გამგეობა დააწესა. მაშასადამე, გენერალი არც დავითს მიემხრო და არც იულიონს.
 პავლე იმპერატორის შემდეგ რუსეთის ტახტზედ აბრძანდა ალექსანდრე პირველი. ყურადღებით და სიფრთხილით შეუდგა ახალი იმპერატორი საქართველოს ბედის გარდაწყვეტას. ჩვენი ავტორი ამბობს, ამ საქმეში პავლე იმპერატორი ხელმძღვანელობდა უმეტესად

პირველი კერძო სამკურნალო

- მიხეილ ნავასარდიანი**
 (კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ) ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ-დღე, კვირადღეებს გარდა.
დილა ო ბ ი თ :
ბ. ა. ნავასარდიანი. 11—12 ს. სადოსტარო ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.
პ. 8. ჩიქოვანი. 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.
ზ. ი. ბაბანასიანი. დღის 11—12 საათ. ქალთა და ბავშვთა სენით ავადმყოფებს.
პ. ი. შამლიანი. 12—1 საათ. ყურისა, ყელისა, ცხვირის ავადმყოფობისა.
პ. 3. პარაკიანი. 1—1 1/2 ს. შინაგანისა და ბავშვებისა.
ს ა ღ ა მ ო ო ბ ი თ :
6. 6. როსტომაშვილი. 5—6 ს. საქირურგო და კანისა.
პ. 6. შაქოვანი. 6—7 ს. ნერვებისა (ელექტრო-ტერაპია), შინაგანი და ვენერიულ ავადმყოფობათა.
ბ. პ. თარხანოვი. შინაგან და ბავშვების ავადმყოფობისა, 7—7 1/2 ს.
ს. ბ. არვანიანი. 11—1 ს. გაუკეთებს სახლში მსურველთ „მასაჟს“, აუტორის ყვაილის და გამოართავს საქიმო გემანსტიკას ექიმის დანიშნებით.
ბ. ა. ნავასარდიანი. 7 1/2—8 ს. რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწე-

„ინტერესით“, იმპერიის სარგებლობით, ხოლო იმისი მემკვიდრე ალექსანდრე იმპერატორი—სიმართლეთა და სამართლეთა. მართლაც და, ვინ არ იცის, —თუ რა მაღალ ზნისა და თავისუფალ აზრისა იყო სახელოვანი იმპერატორი?
 პირველადვე ალექსანდრე იმპერატორმა ექვის თვლით შეხედა შვერტების მანიფესტს, რომელიც იმის მამამ გამოაცხადა 18 იანვარს 1801 წელს. იმპერატორმა ზედ-მიწვევით იცოდა საქმის ვითარება და, რასაკვირველია, უწყობდა, რომ მანიფესტმა უარყოფითი თანხმობა და ნება-ყოფილება, —ამიტომ მანიფესტს სავალდებულო ძალა არა აქვს და ხელმეორედ უნდა განიბჭოს შვერტების საქმე. ავტორის სიტყვით, იმპერატორი ფრთხილობდა, რაიმე უსამართლობა და ძალმომრეობა არ მოხდეს, უკანონოდ არ გაუქმდეს დიდებული დინასტია ბატონიანთა. უწინ ამ დინასტიის ბედს ვგრე არ უცქეროდნენ და სხვა აზრით ხელმძღვანელობდნენ. მუსინ-პუშკინი, მანიფესტის წინააღმდეგ, თათბირის დროს, ამტკიცებდა, —საქართველო სამსუა მანდებით და დიდ-ძალს სიმდიდრეს შევიძინებ

როს ფასი ათი შური. დარბოთიფის უფა-
სოდ, ფასი კონსილიუმისა და ოპერაციები-
სათვის — მორგებულად.
დირექტორი სამკურნელო დოქტორი
მედ. ი. ბ. ხაჩასარიანი.

Первая частная лечебница — д-ра
Навасардиана.
Тифлис. противъ памат. Воронцову

საიუზილო ღაინი.

25 სექტემბერი.

დილით, 25 სექტემბერს, სიონში გარდახდილ იქნა წირვა, მწირველები იყვნენ საქართველოს ექსარხოსი ფლობანე, ეპისკოპოსები: ალექსანდრე, ლეონიდი, კირიანი, ვლადიმირი და არსენი და ქალაქის სამღვდლოება. თავად-აზნაურთა წინამძღოლი და წარმომადგენელი დილის 8 საათზედ შვიკრიბენ ტაძარში. წირვის დროს სიტყვა წარმოთქვა დიდუბის ეკლესიის მღვდელმა მამა ცინცაძემ. წირვის შემდეგ გადახდილ იქნა პანაშვიდი, რომელზედაც მოიხსენიეს რუსეთის იმპერატორები პავლე პირველიდან ალექსანდრე მესამემდე, საქართველოს კათალიკოსები, მიტროპოლიტები, ექსარხოსები და სხვანი. შემდეგ მცირე ლოცვა იქნა გარდახდილი მრავალ-წამიერით ხელმწიფე იმპერატორისა, დედოფალ იმპერატრიცების და სამეფო გვარეულობის სხვა წევრთა მიმართ.

პანაშვიდს დაესწრნენ დიდი მთავარი მიხეილ ნიკოლოზის ძე, მათი უდიდებულესობა საბერძნეთის დედოფალი ოლგა კონსტანტინეს ასული, დიდი მთავარი გიორგი მიხეილის ძე, მეუღლე მისი მარიამ გიორგის ასული, დილის მთავრის ვლადიმირის ასული ელენე, საბერძნეთის მეფის ძენი ანდრია და ქრისტეფორე, კავკასიის მთავარ-მართველი, მისი თანამემწე, თავად-აზნაურთა წინამძღოლი და წარმომადგენელი, გენერალიტეტი და სხვანი.

შემდეგ უაფგუსტოესმა სტუმრებ-

მა დაათვალიერეს სიონის ტაძრის სიძველენი და სალოაროს ძვირფასი ნივთები და სასახლეში დაბრუნდნენ, სადაც ნაშუადღევს პირველ საათზედ საუზმე იქნა გამართული. სამ საათზედ უაფგუსტოესნი სტუმარი გამოფენის დასათვალიერებლად წაბრძინდნენ. ქუჩებზედ ამ დროს ტფილისის სასწავლებლების მოსწავლენი იყვნენ გამწკრივებულნი. გამოფენის შესავალთან უმაღლეს სტუმრებს დაჰხედნენ სამეურნეო საზოგადოების ვიცე პრეზიდენტი უგან. თავ. გრუზინსკი, კომისარი თავ. ანდრონიკაშვილი, გამოფენის სხვა გამმართველნი, სამეურნეო საზოგადოების წევრნი და სხვანი. თავ. გრუზინსკი, თავ. ანდრონიკაშვილი და იმისმა მეუღლემ ყვაილთა კონგები მიართვეს დედოფალს და დიდი მთავრის გეგმების დათვალეობის დროს მღეროდნენ ქართული, სომხური და რუსული ხორავები.

გამოფენიდან დედოფალი და დიდი მთავარი მიხეილ ნიკოლოზის ძე საბებო ინსტიტუტის დასათვალიერებლად წაბრძინდნენ, ხოლო დანარჩენნი უაფგუსტოესნი გვამნი სასახლეში დაბრუნდნენ. საბებო ინსტიტუტში დიღმა მთავარმა და დედოფალმა 5 ს. 45 წუთამდე დაჰყვეს და შემდეგ ისინიც სასახლეში დაბრუნდნენ.

სალამზედ უაფგუსტოესნი წევრნი, რუსეთიდან ჩამოსული სტუმრები, მთავარ-მართველი, თავად-აზნაურთა წინამძღოლი და სხვანი თავ. კ. ი. მუხრან-ბატონთან იყვნენ მიწვეულნი ჩაიხედნენ. ჩაის შემდეგ ცეკვა გაიმართა.

26 სექტემბერი.

დილის 9 სა. თზედ მთავარ მართველის სასახლეში შეიკრიბნენ ტფილისისა და ქუთაისის გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლი და წარმომადგენელნი. ცალ მხარეს ქათაისის გუბერნიის თავად-აზნაური იყვნენ, მეორე მხარეს ტფილისის გუბერნიისა. იქვე იყ-

უმათავრესად უნდა გაეხილა — საქართველოს რუსეთთან შეერთება საბერძნეთის უფლებას ხომ არ დაარღვევს და კანონიერი იქნება, თუ არა ამ დინასტიის მოსპობა. სახელმწიფო საბჭოს თათბირი პირველად მოხდა 11 აპრილს 1801 წელს. საბჭო პირდაპირს საკითხს და საგანს ასცდა, სწორე იურიდიულს გზას აუხვია და უწინდებურად მართო იმპერიის სარგებლობას მიაკეთა ყურადღება. რასაკვირველია, დაადგინეს, რომ შეერთება მიუცილებრივ საქირაოა. იმპერატორი არ დასთანხმდა და ოთხის დღის შემდეგ სახელმწიფო საბჭო მეორედ შეუდგა საქმის განხილვას. მაშინაც შეერთება სცნეს საქიროდ და სასარგებლოდ. მაგრამ ალექსანდრე იმპერატორი მაინც არ დაკმაყოფილდა და სხვა ღონისძიებას მიმართა.

იმპერატორი ფიქრდება, — იქნება თვით ვრს არა სურს რუსეთის ქვეშევრდომად შეიქმნესო და მართლა სასარგებლო იქნება თუ არა ასეთი ქვეშევრდომობა საქართველოსთვისო. იმპერატორმა მთავარ-სარდალ კნორინგს უბრძანა ცნო-

ნენ ამიერ-კავკასიის გუბერნატორები. 9 ს. 5 წუთზედ გამობრძანდა დარბაზში დიდი მთავარი მიხეილ ნიკოლოზის ძე, მიესალმა წერებოლოდ და შემდეგის სიტყვით მიმართა:

„დიდად ბედნიერი ვარ, რომ ხელმწიფე იმპერატორმა კეთილი იმეება და ღირს მყო მის უდიდებულესობის წარმომადგენლად დანიშვნისა საქართველოს რუსეთთან შეერთების ასის წლის დღესასწაულზედ. მოგონება ამ ამბისა, რომელმაც სამუდამოდ განუყოფილი კავშირით შეაერთა რუსეთისა და საქართველოს ხალხი რუსთა იმპერატორის ბატონობის ქვეშ, ძვირფასი უხა იყოს ყოველ რუსისა და ყოველ ქართველისათვის. ძვირფასია იგი განსაკუთრებით ჩემთვის, ვინაიდან, მართვა-გამგეობის დროს 19 წლის განმავლობაში, მე შეუერთდი ამ მხარეს და გული მშემიყვარდა იგი. ამიტომ თქვენ დღესასწაულს მე ჩემ დღესასწაულადაც ვფიქროვ.

„ხელმწიფე იმპერატორის სალამი და მისი უდიდებულესობის ბრძანებანი დღევანდელ დღესასწაულზედ გამო გამოცხადებულა ჩემს სახელზედ ნაბოძებ რესკრიპტში.

„წინადადება ვაძლევ მთავარ-მართველს წაიკითხოს ეს რესკრიპტი.“

შემდეგ კავკასიის მთავარ-მართველმა წაიკითხა შემდეგი

ჩამოსტავილი:

„თქვენო იმპერატორებოთა უმაღლესობა! საქართველის რუსეთთან შემოერთების 100 წლის შესრულების მნიშვნელოვანს დღესასწაულობის დღეს, სიამოვნებით ვიგონებ ამ სახელოვან ისტორიულს გარემოებას. ასის წლის წინად საქართველოს მეფემ გიორგი ირაკლის ძემ თავისი თავი და თავისი ქვეყანა ღვთივ განსვენებულის იმპერატორის პავლე პირველის მფარველობისა და უფლებისა ქვეშე გადასცა. ასეთმა თვისის ნებით და-

მორჩილებამ დაუდო დასაბამი საქართველოს რუსეთის იმპერიასთან განუყოფელს შეერთებასა და რუსეთის მპყრობელობის კავკასიონის ქედს იქით გავრცელებას. ამ დროიდან ქართველი ხალხი და განსაკუთრებით ქართველი თავად-აზნაურთა რუსეთის ხელმწიფეთა და ახალი სამშობლოსა მიმართ ერთგულებას შეუწყველად აღვანან. ბრძოლისა ველებედ, სადაც-ცა წარსულ საუკუნის განმავლობაში ჩვენი ჯარი შეხვედებოდა ხოლომე რუსეთის მტერს, ქართველ თავადთა და აზნაურთა წინაპრნი თავისი სისხლს რუსეთის საქმისათვისა ჰღვრიდნენ და თავის განუსაზღვრელი სიამაყით ჩვენის იარაღის გამარჯვებას ხელს უწყობდნენ. ცოტანი არ არიან ქართველ თავად-აზნაურთაგანი ისეთნი, რომელთაც დაუვიწყარი სახელი მოიხვეჭეს, როგორც რუსეთის ჯარის სარდლებმა; ამგვარივე სახელი მოიხვეჭეს თავად-აზნაურებმა და დამისახურეს თანამედროვეთა პატივის ცემა და შთამომავალთა კეთილი მოგონება თავისი სასარგებლო სამოქალაქო მოღვაწეობით.

სიმართლით მოვიგონებ ქართველ თავად-აზნაურთა რუსეთის წინაშე ღვაწლსა, რომელიც არა ერთხელ მოწაყლიდ იქნა დაფასებული ჩემთა წინაპართაგან, და ვუცხადებ თავად-აზნაურებს ჩემს იმპერატორულს და მეფურს სათანოებასა. ამ სათანოების ცხადსაყოფელად ალღირჩიეთ დღევანდელს დღესასწაულზედ ჩემდა წარმომადგენლად საიმპერატორო სახელეულობის უხუცესი წევრი — თქვენ, თქვენო იმპერატორებოთა უმაღლესობა, რომელმაც კავკასიის ბრწყინვალედ და კეთილად დიდად ხნის მმართველობით იქაურ მცხოვრებთა გულწრფელი სიყვარული და ერთგულობა მოიხვეჭეთ.

სურვილი მაქვს საქართველოს რუსეთთან შეერთების ასის წლის შესრულება აღვნიშნო ზოგიერთ

ღონისძიებთა მიტყნა...
შემწეობითაც შეეძლებოდა...
ერის უმათავრეს საქიროებათა დაკმაყოფილება. ამიტომ კეთილად გცნობ:

1) დაარსდეს კავკავში კადეტთა კორპუსი და ამ რიგად კადეტ მოემართოს იმ უფასო ვაკანსიების რიცხეს, რომელნიც აქამდე ეკუთვნოდნენ ტფილისისა და ქუთაისის გუბერნიების შთამომავლობით თავად-აზნაურების შვილებს.

2) ტფილისისა და ქუთაისის გუბერნიების თავად-აზნაურთა შვილების აღზრდის საქმეში დასახმარებლად მიეცეს სახელმწიფო ხაზინიდან ყოველ-წლივ ორმოცი ათას მანათი ორსავე გუბერნიას; ამ ფულის ხარჯვისა და მოხმარების შესახებ წესები უნდა შეიმუშაონ ადგილობრივმა სათავად-აზნაურთა გუბერნიო კრებებმა და თავისი მოსაზრებანი კავკასიის მთავარ-მართველს წარუდგინონ, რომელიც თავისათავე მსვლელობას მისცემს არსებულის კანონების მიხედვით.

3) ტფილისისა და ქუთაისის გუბერნიების თავად-აზნაურთა მამულები, რომელნიც 12 ივნისის 1901 წ. სენატისადმი ბრძანებით განთავსულ იქნენ სამის წლივ (1901—1903) სახელმწიფო საიდგომ-მამულო გადასახადისგან, კედევ სამის წლივ (1904—1906) იქნენ განთავსულ იქნენ ამ გადასახადისგან.

4) მიეცეს ნება ტფილისის სათავად-აზნაურო საგუბერნიო კრებას თავისი შეხედულებით მოიხმაროს ტფილისის სათავად-აზნაურთა ბანკის წმინდა მოგების ის ნაწილი, რომელიც წესდების ძალით ტფილისის გუბერნიის მიწად-მოქმედობა და მიწად-მფლობელთა საზოგადო საქიროებასა და სამეურნეო თანხა გადიდებასა ჰხმარდება; საგუბერნიო კრების დადგენილებანი ამ ფულს დახარჯვის შესახებ უნდა წარუდგინოს კავკასიის მთავარ-მართველსა და სასამტკიცებლად.

ესეც რომ არ იყვის, ვაქრობის ასალორძინებლად, სპარსეთსა და ოსმალეთზედ გასამარჯვებლად საქართველოს შეერთება ყოვლად საქირაო არისო. ვინ ამბობს, რომ ყოველივე ეს მართალი არ იყო, ვინ არ იცის, რომ ცალიერი პლატონური გრძნობა პოლიტიკაში სახირო არ იქნებოდა. საქართველო დღის სარგებლობას მოუტანდა რუსეთს და ამ მხრივ მუსინ-პუშკინი და იმის თანამოაზრენი სრულს ქვეშეპირტებას დაადებდნენ. ხოლო ესეთი აზრი ცალ-კერძო იყო და „კურთხეულმა იმპერატორმა“ სწორედ ამას მიაკეთა ყურადღება და შეერთების საქმე სამართლისა და სიმართლის მხრით გასინჯა. ჩვენი ავტორი საბუთებით ამტკიცებს, მართლმორევერე იმპერატორის სურდა, რომ უკანონოდ არ გაუქმდეს უძველესი დინასტია ბაგრატიონთა და შეერთება ტახტისა და ერის სურვილზედ დამყარდესო. რად ზრახვიდა ვერე დიდებული იმპერატორი?

საქმე ის არის, რომ იმპერატორი პავლე, დროს შეერთება, ცოტა არ იყვის, დასწრავს, ურთიერთს მიწვერ-მოწვერას ყურადღება არ მიაკეთეს და ამის გამო შეერთებაც თი-

მების შეკრება. კნორინგს ყურადღება უნდა მიექცია ორის საგნისთვის: ა) საქართველოს ძალ-უძის თუ არა თვითარსებობა და ბ) შეერთება საერთო სურვილს შეადგენს თუ არა.

აქ უნდა მოვიხსენიოთ, რომ სახელმწიფო საბჭოშიაც აღმოჩნდნენ შეერთების წინააღმდეგნი; ესენი იყვნენ, სხვათა შორის, გრაფი ა. გორონოვი და გრაფი ვ. კონუბი, რომელთაც ცალკე მოხსენება მიართვეს იმპერატორს და დიდად განმარტობით ამტკიცებდნენ, საქართველოს შეერთება საქირაო არ არის და უკანონოც იქნებაო. ამ მოხსენებამ და საზოგადოდ ოპოზიციამ ცხარე კამათი ასტება სხდომაზედ, მაგრამ... ჯერ ორიოდ სიტყვა კნორინგის შესახებ უნდა ვსთქვათ.

მთავარ სარდალი კნორინგი ცოტა ხანს დარჩა საქართველოში და მთელი დრო ტფილისში გაატარა. მოხსენებაში დაწვრილებით ყველაფერს სწერდა, თუმცა ისიც მოიხსენია, რომ ნახევარ თავად-აზნაურებს მაინც სურს, თავისი მეფე ჰყავდეს და საკუთარი ეროვნული გამგეობა ჰქონდესო. დასასრულ კნორინგი ამბობდა, შეერთება ყოვლად საქირაოა.

სახელმწიფო საბჭოს უკანასკნელი სხდომა მოხდა 8 აგვისტოს 1801 წელს და მაშინ საბოლოოდ გამოწყდა საქართველოს ბედი. შეერთება დაადგინეს და იმპერატორი დასთანხმდა. 12 სექტემბერს გამოცა უმაღლესი მანიფესტი, რომლის ძალით საქართველო საუკუნოდ შეუერთდა რუსეთს. ეს მანიფესტი საქართველოში გამოცხადდა 12 აპრილს 1802 წელს. სწორედ ამ მანიფესტის იუბილეის დღესასწაულობას ახლა ჩვენი სამშობლო მანიფესტის შემდეგ კნორინგი დანიშნეს საქართველოში ჯარის უფროსად და იმავდ უბრძანეს, ქვეყნის გამგეობა ახლად მოაწყვიროვნულ ხნეთა და ჩვეულებათა მიხედვითაო. „კურთხეული იმპერატორი“ ალექსანდრე მეტად გულ-მთილ და კეთილშობილ ხასიათის იყო და ჩვენის ერის „წმიდათა წმიდას“ პატივით ვაყობოდა. კნორინგსაც დაავალა, რომ მრავალწამებულ საქართველოს სათანოება და ღმობიერობით მოექცია, ერის ღირსება და თავმოყვარეობა არ შელახო.

5) ტფილისის თავად-აზნაურთა მიეცეს ნება, თუ ვინცოთა ბანი თავის მოქმედებას მოკსპობს და ფულს გაანაწილებს პროპორციონალურად იმ წყაროების მიხედვით, რომელთაგანაც უმეტესად ბანის თანხები, დასაკურთხოს ამ თანხების ის ნაწილი, რომელსაც ღვთივ-განსვენებულის იმპერატორის აღმკვიდრე მეორის მიერ ბოძებული ფული შეადგენს, და

6) ებატოს ადგილობრივ სახანო პალატების მიერ 1901 წლის 1-ლ იანვარამდე აღნიშნული შეუტანელი გარდასახადი და ჯარიმა იმ სახანო გარდასახადისა, რომელიც 1900 წელს, 12 ივნისს იქმნა ჩემის ბრძანებით გაუქმებული ამიერ-კავკასიაში.

წინადადება მივეცი სათანადო მინისტრებს ეს ჩემი ბრძანებანი აღასრულონ, ხოლო თქვენს იმპერატორებთან უმალესობას ვანდობ გამოუცხადოთ ყოველივე ესე ტფილისისა და ქუთაისის თავად-აზნაურობასა და ამიერ-კავკასიის ყველა მცხოვრებთ.

დავითიძე მუდამ თქვენი კეთილის მყოფელი ნამდვილად მისი იმპერატორების უდიდებულესობის საკუთარი ხელით დაწერილია:

და გულითადი თქვენი მოსიყვარულე ნიკოლოზ.

კომპიენი, 7 სექტ. 1901.

რესკრიპტის კითხვას დამსწრენი „ურას“ ძახილით მიეგებნენ. შემდეგ ტფილისის გუბერნიის წინამძღოლმა მიჰმართა დიდ მთავარს სიტყვით, რომელშიაც თავად-აზნაურობის მხრივ გამოუცხადა უკვე შეტრდომილესი გრძობა ხელმწიფე იმპერატორს და უსახლდრო სიყვარული მის უდიდებულესობას დედ მთავარს.

შემდეგ თავად-აზნაურნი სიონის ტაძარში გამართნენ, სადაც 9 საათზედ წირვა დაიწყო. მწირველნი იყვნენ ექსარხოსი, ეპისკოპოსები და სამღვდლოება. სიტყვა წარმოიტევა წირვის დროს დეკ. ელიევი. წირვის შემდეგ სამღვდლოება 11 1/2 საათზედ ლიტანიით გუნების მოედნისაკენ გამართა. აქეთ-იქით ქუჩებზედ ჯარი იყო გამწკრივებული. აღმკვიდრე ნეველის სამხედრო ტაძართან მიახლოვებისას, სასახელიდგან გამობრძანდნენ და ლიტანიას შეუერთდნენ საბერძნეთის დედოფალი, დიდი მთავარი მიხეილ ნიკოლოზის ძე, სხვა უაღვუსტოესნი სტუმარნი, მთავარ-მართველი, ამალის წევრნი, გენერლობა და სხვანი. გუნების მოედანზედ ეკლესიისთან მორთულ კარავში გარდახდლ იქმნა პარაკლისი. პარაკლისის შემდეგ სამღვდლოება უკანვე, სიონში დაბრუნდა, ხოლო დიდმა მთავარმა დაათვალიერა მოედანზედ გამწკრივებული ჯარი. გუნების მოედანიდან უაღვუსტოესნი სტუმარნი სასახლეში დაბრუნდნენ.

ნაშუადღევს სამ საათზედ ვერის მიწობარზედ, ყაზარმებს მახლობლად, ჯარისათვის სადილი იქმნა გამართული. სადილი თავად-აზნაურობამ გამართა. სადილს დაესწრნენ უაღვუსტოესნი წევრნი, მთავარ-მართველი, თავად-აზნაურობა და სხვანი. პირველი საღვთობელი ხელმწიფე იმპერატორისა წარმოსთქვა თავ. მელიქი შვილია. შემდეგ

წარმოსთქვეს საღვთობელი ხელმწიფის დედოფლისა, დიდის მთავრის მიხეილ ნიკოლოზის ძისა და სხვათა.

სალამოზე სახელმწიფო თეატრში წარმოდგენა იქმნა გამართული თავად-აზნაურობის მხრივ. დაესწრნენ წარმოდგენას უაღვუსტოესნი სტუმრები და სხვა მიწვეულნი.

ამავე დღეს ტფილისის გუბერნიის წინამძღოლმა რუსეთის სხვა-და სხვა ადგილიდგან მოლოცვის დეპეშები მიიღო. დეპეშა მოვიდა დიდის მთავრის სერგეი მიხეილის ძისაგან, მინისტრების: ფინანსთა, ზღვათა, იუსტიციისაგან, ვლადიმიროს გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლის თავ. გოლიცინისა, ნ. დურნოვოსა და სხვათაგან.

† გიორგი ლავიტის ძე მარტვილი

(ნეკროლოგი)

26 სექტემბერს ქ. ტფილისში უეცრივ გარდაიცვალა გ. ლ. ქართველი შვილი. განსვენებული მოხუცი იყო და ეკუთვნოდა იმ თაობას, რომელსაც საკმაოდ ჰყავს მალა ზნისა და მტკიცე ხასიათის კაცები. გ. ქართველი შვილის რუსული განათლება არ მიეღო, ბედმა იმას მარტო ჩვენებური შინაური სწავლა და აღზრდა არგუნა, მაგრამ მაინც ცხადად ესმოდა კაცური და მამულის-შეიღური მოვალეობა სამშობლოსა და საზოგადოების წინაშე და, შეძლებისდაგვარად, პირნათლად ასრულებდა ამ მოვალეობას.

პირველ ხანად გიორგი დავითის ძე ქართველი შვილი ხელმოკლე კაცი იყო და წერილობით იჯარადობას და ვაჭრობას შეუდგა. თავისი შრომისა და ენერგიის მეოხებით განსვენებულმა მალე შეიქმნა საკმაო სიმდიდრე და აი სწორედ იმ დროიდან მიჰყო ხელი სამშობლოს სამსახურსა და სხვა-და-სხვა ქველობას. მაგრამ ვიდრე იმის საზოგადო მოღვაწეობას ვუჩვენებდეთ, საქარა აღენიშნოთ, რომ გ. ქართველი შვილი იჯარადობითა და ვაჭრობით მოიპოვა სახელი დიდ პატიოსანისა და მართალის კაცისა. ჩვენის დროის ვაჭრობასა და აღებ-მიცემობაში ერთგვარი მოძღვრება და კატეხიზმობრძანებლობს. აქ გაბატონებულია აღვირ-აწვევტილი პირადი სარგებლობა, რომელიც არაფერს არ გრძობდა, — არც სიყალბეს და არც მოტყუებას, არც ორპირობას და არც უნდობლობას. ამისთანა „საკომერციო“ მოძღვრება და კატეხიზმო განსვენებულს სულითა და გულით ეჯავრებოდა. ვაჭრობასა და აღებ-მიცემობაშია გ. ქართველი შვილი ზნეობით ხელმძღვანელობდა, ყველგან და ყველაფერში იგი კაცური კაცი იყო. კიდევ ამიტომ ბოლო დროს, ცოტა არ იყოს, ვაჭრობასა და აღებ-მიცემობაში ბედმა უღალატა, მაგრამ განსვენებული ამას მაგრე რიგად არ ნაღვლობდა და გულს არ იტყბდა, რომ ახალ დროის „საკომერციო“ მოძღვრებამ თითქმის დღევანდელის დროს დაიპყრო.

დიად, განსვენებული ხასიათიანი და ზნიანი კაცი იყო. როცა ბედმა გაუღიმა და სიმდიდრე შეიძინა, აი სწორედ მაშინ შეუდგა გ. ქარ-

თველი შვილი საქვეწო საქმეს. სამშობლოსათვის სამსახური უფრო ფულით შეეძლო. და მართლაც, არც ერთი საზოგადო საქმე არ დაწყებულია ჩვენში, რომ გიორგი დავითის ძეს დახმარება არ აღმოეჩინოს. იმის ცხოვრებით და მადლიანი მარჯვენა ყველას შემწევობას და შევიღას უჩნდა, — ღარიბი სტუდენტი და შაგირდი იყო, თუ რაიმე საზოგადო საქმე, სულ ერთია. რამდენია ამის მაგალითი, მაგრამ წყნარს და ამოცხობის არა მიმდევარს განსვენებულს არ უყვარდა თავის გამოჩენა და მარჯვენა მისი ისრე გასცემდა მოწყალებას, რომ მარცხენა ხელმა იგი არ უწყობდა. ამ ჩვენს საველადლო დროში, როცა ქართველ ვაჭრისა და აღებ-მიცემის ქველობა თითოთ საჩვენებელი და სახითით საქმენელია, განსვენებულს გ. ლ. ქართველი შვილის საქველო მოქმედება მართლაც და შესანიშნავ ამბავად უნდა ჩაითვალოს.

მაგრამ ყველა ამ წვრილმანობას განსვენებული როდი სჯერდებოდა. დიად ღირს შესანიშნავია, რომ განსვენებული საზოგადო ასპარესზედ იღვწოდა და მარტო ფულის გაღებით კი არა, არამედ პირადის შრომითა და ჯაფითაც. იგი კარგახანს იყო წერა-კითხვის გამგებობის წევრად და ხაზინადარად. დროსა და ძალას არა ჰზოგავდა ეს თავისი მოვალეობა კეთილ-სინდისიერად შესრულებინა. რასაკვირველია, ფულით დახმარება კიდევ სხვა იყო.

განსვენებული გიორგი დავითის ძე დიდის სიყვარულით და იმედით შეჰხაროდა ჩვენის ლიტერატურის აღორძინებას და წარმატებას. საყურადღებოა, რომ განსვენებული განსაკუთრებულ ყურადღებით ითვალისწინებდა ჩვენის ლიტერატურის ბედსა და იმის მომავალს და ფულს უხვად გასცემდა, ოღონდ-კი მშობლიური მშვიდობრობა აყვავებულიყო. სწორედ ამ მადალ წადილის მისაღწევად გიორგი დავითის ძემ ათას ორასი თუმანი გადასდო „ვეფხვის ტყაოსნის“ აღსაბეჭდად. გენიოსის რუსთველის უკვდავი ქმნილება ისრე მდიდრულად და ხელოვნურად გამოსცა, ისეთის მშვენიერის და თვალწარმტაცის სურათებით შეამკობინა, რომ „ძვირფასიანი“ „ვეფხვის ტყაოსანი“ მართლაც და ყველა ქართველ ოჯახისთვის სასიამოვნო და საუცხოვო სამკაულად შეიქმნა. ასე გასინჯეთ, სამხელვარ გარეთაც-კი დაიბარეს ეს ხელით საგომანებელი მარგალიტი ჩვენის პოეზიისა და როცა პროფესორმა ცვარელობა იგი ძღვნად მიართვა შევეციის კოროლს, გულითადი მადლობა მიიღო ამ ფეშქაშისთვის... აღსანიშნავი კიდევ ის არის, რომ განსვენებულმა ეს ძვირფასი გამოცემა საკუთრებად გარდასცა წერაკითხვის საზოგადოებას.

ეს კიდევ არაფერი. როცა ჩვენი დაუღალავი სერგეი მესხი ავადმყოფობამ აიძულა ხელი აეღო თავის დიად ნაყოფიერს სალიტერატურო მოღვაწეობაზედ და გაზეთი „დროება“ სხვისთვის გარდაეცა, მაშინ ი. მაჩაბელი მოიწადინა „დროების“ მოპოება და მისი რედაქტორობა. მაგრამ, ხელ-მოკლეობის გამო, ი. მაჩაბელი ვერ ახერხებდა გაზეთის შექმნას. საქმე ისე იყო დაყენ-

ბული, რომ „დროება“ უნდა დახურულიყო, თუ არავინ უშეგლიდა, აი სწორედ მაშინ გაუჩნდა განსვენებული გ. ქართველი შვილი ქართულ გაზეთს მწედ და მფარველად. განსვენებულმა ხუთას-ექვსას თუმანამდე გადასცა ი. მაჩაბელს და ამან შეიძინა „დროება“, რომელმაც, ახალ რედაქტორის ხელშიც, საკმაო სარგებლობა მოუტანა ჩვენს ეროვნულ წარმატებას. თითონ განსვენებული გ. ქართველი შვილი „დროების“ გამომცემლად შეიქმნა.

ამ ბოლო დროს ერთი ახალი საქვეწო საქმე კიდევ შეასრულა განსვენებულმა. გიორგი დავითის ძე დიდი მოყვარული და მოტრფიალე იყო ჩვენის წარსულ ისტორიისა და კერძო საუბრის დროს გულის ძვერით და აღტაცებით იგონებდა დიდებულ მეფეებს. ვის გულს არ აატოკებს და ვის გონებას ცაში არ აღაფრენს თამარ მეფის სახელი? — მაგრამ ამ დიადის სახელის ხსენება თითქო მარტო პირზედ გვაკერია და სხვა არაფერი. გიორგი დავითის ძე სხვა თვისების კაცი იყო, — რაც გულით უყვარდა, იმას საქმიტაც აკეთებდა. განსვენებულმა ასს თუმანზედ მეტი დახარჯა თამარ მეფის ხატზედ. ამას გარდა, ყოველივე ღონე იძია და მეცადინეობა იხმარა, რომ თამარ მეფის სახელი სადღესასწაულოდ დაეწესათ. იმის საქმე და ღვაწლია, რომ ამ ბოლო დროს საქართველოს ექსარხოსმა განკარგულება მოახდინა, რომ ყოველ პირველ მაისს დიდუბის ეკლესიაში იდღესასწაულონ სახელი და ხსენება თამარ მეფისა, რომლის ხატი იმოფება ამ ეკლესიაში. არ უნდა დავივიწყოთ გერეთვე, რომ განსვენებული შესაწევარს არ იშურებდა ძველ ტაძართა აღსადგენად და გასამშვენებებლად და ასეთს ღვთისა და სამშობლოს სასიამოვნო საქმეში საპატიო ადგილი ექირა.

ასეთი იყო განსვენებული გიორგი დავითის ძე ქართველი შვილი. ჩვენ გვეხატება და გვერიდება, ქართველ საზოგადოებას ვუჩვენოთ, — თუ რა პატივისცემის ღირსია ის გვამი, რომელმაც კაცურ კაცად დაჰლია დღენი და სიცოცხლე თვისი აღბეჭდა სამშობლოს სასარგებლოდ. საზოგადოებამ თითონ ყოველივე ეს იცის და თითონ გადაუხდის ჯგროვან პატივისცემას თავის ღირსეულს შვილს.

5. უბნელი

ახალი ამბავი

** დღეს, 28 სექტემბერს, დღის 12 1/2 საათზედ, ტფილისის საკრებულოს შენობაში (მიხეილის პროსპექტზედ) ტფილისის ქალაქი საუზმეს გაშპრათავს. საღამოს 9 საათზედ ტფილისის კრუეოკის საზაფხულო შენობაში თავად-აზნაურობა ჩაის გაშპრათავს.

** როგორც სატახტო ქალაქის გაზეთები იწერებინან, სამხედრო საწავლებლების სამმართველოსთან არსებულს კომისიას კადეტთა კარუსებისათვის ახალი სამოსწავლო გეგმა შეუდგენია და განსახილველად უმალდეს მთავრობისათვის წარუდგინა.

** მისი იმპერატორებისა მწიფე დაღვების დიდის მთავრის მოწყობისა ღვთივ განსვენებულის ოლგა თეოდორეს ასულის სახსოვრად ძეგლის დასადგმელად და დედათა სამკურნალო ინსტიტუტში ორი სტიპენდიის დასაარსებლოდ ქალაქის თვითმართველობის მიერ წარდგენილი შეამდგომლობა ტფილისის გუბერნატორის თანამდებობის აღმასრულებელმა ნებართვისათვის კავკასიის მთავარ-მართველს თავ. გოლიცინს წარუდგინა.

** საერო განათლების სამინისტროში გარდაწვევტილი თურმეა ოლქის ინსპექტორების თანამდებობანი ასე გაანაწილონ: ზოგს ამთავანს მიენდოს მხოლოდ გიმნაზიების მეთვალყურეობა, ზოგსაც რეალურ სასწავლებლებისა და დედათა სასწავლებლების მეთვალყურეობა.

* როგორც ხმა დიდის, განზრახვა თურმე აქვთ წმ. ნინოს დედათა სასწავლებელი ინსტიტუტით გადააკეთონ.

** მომავლის 1902 წლისათვის რკინის გზას სკირდება ხე-ტყე: 340,000 ცალი ფიჭვის ძელი ლიანდაგისათვის, 60,000 ცალი მუხისა, 300 ცალი მოკლედ დაქრილი ფიჭვის მორი, 7,000 ცალი ტელგრაფის ბოძი, 143,000 კუბიკ. ფუტი მუხის მორი, 230,000 კუბიკ. ფუტი ნაძვის ძელი, 90,000 კუბ. ფუტი მურყანის ძელი, 150,000 კუბ. ფუტი ფიჭვის მორი და 2,000 კუბ. ფუტი ფიჭვის ფიცარი.

** ამ თვის დამლევს ტფილისში მოსკოვის საარქეოლოგო საზოგადოების თავმჯდომარეს გრაფინა უვაროვისას მოელიან. როგორც „ცნ. ფურც.“ სწერს, ნება დაურთავთ ტფილისში აღნიშნულ საზოგადოების განყოფილება იქმნეს განსილი.

* როგორც გელათის საღვთობრიდგან იწერებინან, 25 სექტემბერს ვილაც ბოროტ-გამზრახველს რკინის გზის სადგურის ფულის კასა მოუტაცნია, რომელშიაც ყოფილა: ფულად 75 მან. და 55 კაპ., გერბის მარკები, უფასო ბილეთების წიგნაკები და საბუთის ქალაღვები, რომლებიც დასახელებაც არ შეიძლება. ექვსი საათის შემდეგ კასა და ქალაღვები იპოკნეს, მხოლოდ ფული აღარ აღმოჩნდა შიგ.

* გუშინ, 27 სექტემბერს, კავკასიის გამოფენა დაათვალიერეს საქართველოს ექსარხოსმა ფლბაძემ და კავკასიის სხვა-და-სხვა მხრიდგან საიუბილე-იდ ჩამოსულმა ეპისკოპოსებმა.

** როგორც გუშინის სადგურიდგან იუწყებიან, 26 სექტემბერს, დღის 7 1/2 საათზედ, მე-210 ვერსზედ, კანდუქტორი მუსხელიაძე მატარებლის შუა მოწყობილია და მარცხენა ფენი მოსტეხია მუხლის თავამაფე.

* მოლთის სადგურიდგან იუწყებიან, რომ 26 სექტემბერს მე-158 ვერსზედ გზის შეკეთების დროს მუშა ნესტორ ალათურია ტელეგრაფის ბოძიდან ჩამოვარდნილა და მარჯვენა ხელი მოუტეხინა.

* როგორც გვატყობინებენ, ამიერ-კავკასიის რკინის გზის სადგურებზედ, აღსტავსა, ელახსა და აჯი-ქაბულში რკინის გზის მომხმარებელ საზოგადოების განყოფილებანი თურმე იქმნებიან დროებით განსილნი, რადგანაც ტფილისა და ბაქის შორის რკინის გზის მატარებლებში სავაჭრო ღუქნები გაუქმებულ იქმნენ.

დამაკვირდი.

დაჯერეთ სულელი, რომ ხმა არ ამოიღოს და ბრძანად გაითქვამს სახელსა.

(კუბლისირუს)

დუმილი სიბრძნეა სულელისა.

მიხვე.

ისტორია ცივიზაციისა რვა სიტყვით გამოითქმის: რაც უფრო მეტი იცი, მით უფრო მეტი შეგიძლიან.

(ელმონდ აბუ)

ახალი წიგნი:

რედაქციამ მიიღო ახალი რუსული წიგნი „Михетъ и соборъ Свѣти Пхивели,“ ისტორიული აღწერა, ა. ნატროვილისა. წიგნი დაბეჭდილია მცხეთის ტაძრის აღმადგენელ კომიტეტის მიერ. წიგნი დიდი, 500-მდე გვერდს შეიცავს, მრავალს სურათითაა შემკული და ღირს 2 მან. 50 კოპ. დაწვრილებით ამ წიგნს შემდეგ განვიხილავთ.

დეკემბა

(„რუსეთის დეკემბათა სააგენტოსაგან“).

25 სექტემბერი.

პეტერბურგი. რუსეთის წითელი ჯვრის საზოგადოება აცხადებს: რადგანაც რუსეთში ბევრ ადგილას მასავალი არ მოვიდა, ამიტომ ხელმწიფე დედოფლის მარამ თეოდორეს ასულის ბრძანებით, წითელი ჯვრის საზოგადოებამ დაამუშულ ხალხს შემწეობა უნდა აღმოუჩინოს: ექიმები და წამლები გაუზავნოს, სასადილოები გაუმართოს, პური, საცვალე ტანსაცმელი და შეშა დაურეგოს. საზოგადოებას იმედი აქვს, რომ რუსეთის ერი დახარბება გაუწყვეს და უხვის შეწირულებით ამ დიდს საქმის გაძლიერება შეძლებინებს. რადგანაც თითო წითელის ჯვრის საზოგადოებას საკმაო ფული არა აქვს, ამიტომ ყოველგან იმპერიაში ფულს მოპარედს, რომ ამ ფულით დაამუშულ ხალხს შეეწყოს. საზოგადოების უმთავრესი გამგებია პეტერბურგში, ინჟინერის ქუჩაზე, № 19, შეწირულებას ყოველ დღე მიიღებენ.

ნიშნ. გუშინ მეფე-დედოფალი მოვიდნენ. ხალხი დიდს აღტაცებით მიეგება, ქალაქის თავმა სიტყვა მოახსენა, პასუხად მეფემ სიტყვა: ქორები სერბის ტახტის შემკვიდრებაზე სულ სერბისა და სერბის დინასტიის მტრების საქმეა. ამავე დროს ხმა გაავრცელეს კრიზისის შესახებ; ესეც უბრალო ჭორია. სამინისტროს ყველაფერში ვენდობი და, ჩემდა სასიამოვნოდ უნდა ესთქვა, ჩემი მთავრობა თავის მოვალეობას კარგად ასრულებს.

ქალკუთა. ავღანის ემირი 20 სექტემბერს გარდაიცვალა.

ლონდონი. „Daily Mail“-ს შეუტყვი: ამ უმად მოლაპარაკება აქვთ, რომ კაბის ახალშენს, ნატალსა და ლორენკო-მარკესს შუა საღამოებო კამიონი დაწვესონ. როგორც იმის, პორტუგალიის აქაური ელჩი ამ საქმეზე ლისაბონში წავიდა. ამბობენ, პორტუგალიას მოსწონს ეს პროექტი.

ნიშლა. კაბულიდან ამბავი მოვიდა, რომ ავღანის ემირი 15 სექტემბერს ძლიერ ავად გახდა; უფროსმა ვაჟი-შეილმა გაბიბულ ხანმა მოითხოვა, რომ ყველგან პარაკლისები გადაეხადათ, 26 სექტემბერს კი გამოაცხადა, რომ მამაჩემი დიდის 3 საათზე გარდაიცვალა, რა ამბები ხდება კაბულში—არავინ იცის.

გაბაზა. ვაზეთების მიერ გავრცელებული ხმები, ვითომ საერთაშორისო საქმიანობა სასამართლოდ პრეზიდენტს კრიუგერს და ბურების დელეგატებს უარი შეუთვალა: თქვენ თხოვნას იმის შესახებ, რომ თქვენი საქმე სამედიკატორო სასამართლოდ გაარჩიოს, ვერ მივიღებთო, ტყუილია: არც კრიუგერს, არც დელეგატებს სამედიკატორო სასამართლოსაგან არაფერი ქალაქი არ მოჰსვლიათ. კრიუგერს სასამართლოსათვის არაფერი ქალაქი არ გაუზავნია. ამას გარდა, ვის უნდა უარყვა ბურების თხოვნა, რომ დესაქს ეს საქმე მართლ სამედიკატორო სასამართლოს ადმინისტრაციულ საბჭოს ეკითხება; მართლ სამედიკატორი ამ ნაირი საქმეების გადაწყვეტა ზუსტად კი მას აქვთ, რაც ბურების დელეგატებმა თხოვნა მისცეს, ჯერ არ შეკრებილია. ამ დღეებში ხმა გაავრცელეს, რომ საბჭოს მღვე შეკრებნო, მაგრამ ჯერ კიდევ არ შეკრებილია.

ბარლინი. ობერ-პრეზიდენტმა იორი წერილი გაუგზავნა ბერლინის ქალაქის გამგებებს. იგი სწერს: ბერლინის საბჭომ ქალაქის თავის თანამდებრივად ხმოსანი კაუფმანი არჩია; არ შემიძლიან ეს საქმე იმპერატორს მოვახსენო და ესთხოვო, რომ კაუფმანი დაამტკიცოს. რაკი საქმე ასეა, არ ემაჯობინება ქალაქის ხევა მოხელეს დროებით დაევალოთ კაუფმანის თანამდებობის ასრულებათ. ქალაქის გამგებებამ დაადგინა: ამ წერილების შინაარსი ქალაქის საბჭოს შევატყობინოთ და ობერ-პრეზიდენტის თხოვნა, რომ კაუფმანის მაგიერად დროებით ქალაქის რომელიმე მოხელე დაინიშნოსო,—უარყვათ.

ბათუმი. ქალაქის საბჭომ 24 სექტემბერს, ხმოსნის პალმის რჩევით, ერთხმად დაადგინა: 1903 წელს, ავვისტოში 25 წელიწადი შესრულდება, რაც ბათუმი რუსეთში შეიჭრათა. ამ დღის სახსოვრად ბათუმში საქალაქო თეატრი ავაშენოთ და საზოგადო სამკითხველო დაავარსოთა. ამ საქმის დაწვერებით შესასწავლად საბჭომ განსაკუთრებული კომისია არჩია.

პეტერბურგი. 25 სექტემბერს, საღამოს 6 საათზე, სახელმწიფო არყის საწყობის შენობებს ცეცხლი წაეკიდა. საწყობის და სპირტის განყოფილების გარდა ყველაფერი დაიწვა. ზარალი ჯერ ნანგარიშევი არაა.

ბროდნა. ბელოსტოკის მახრამში, სოფ. სკორუბაში ცეცხლი წაეკიდა შენობებს და 126 სახლი დაიწვა. რაც შინ მიტანილი მოსავალი ჰქონდათ, სულ ერთხანად დაეწვათ.

პრისტიანია. ვაზეთები სწერენ: გუშინ მინისტრებს საგანგებო სამხედრო ბიუჯეტზე ჰქონდათ თათბირი. სამხედრო ხარჯად 3 1/2 მილიონი კრონა მოთხოვნილი ჰქონდა ირადა განაწილებული: 1,180,000 კრონი ქრისტიანიების გამაგრებას უნდა მოჰხმარდეს, 1,400,000 კრონისა მსწრაფლ-მსროლოელი ზარბაზნები უნდა იყიდონ; 800,000 კრონი ქრისტიანის ციხის აშენებას უნდა მოხმარდეს, 120,000—ბერგენთან ნალმების ვაკეთებას.

სამხედრო ბიუჯეტი 14 მილიონადაა ნანგარიშევი.

26 სექტემბერი

პეტერბურგი. 5% მომგებიანის სახელმწიფო სათავად-ახაურო სააღდგომ-მამული ბანკის გირავნობის ფურცლების ახალ ფურცლებზე შეცვლა გაინახება სახელმწიფო ბანკის ყველა დაწესებულებაში 1901 წლის 2 ოქტომბრიდან; პეტერბურგში ეს შეცვლა შეიძლება სახელმწიფო ბანკის იმ განყოფილებაში, სადაც მიღება შესაძლებელია.

პრატა. 25 სექტემბერს სოფლების საზოგადოებრივ 79 დეპუტატი აირჩიეს. არჩეულია 49 ჩეხი და 30 ნემცი. ამათ რიცხვში რამდენია მლადოჩეხი, რამდენი აგრარი, ან სახალხო სოციალისტთა დასის წევრი—ჯერ არ აციან, მაგრამ, მლადოჩეხებმა ბევრი ადგილი დაკარგეს; ნემციებს დააკლდათ ლიბერალები; არჩეულნი უმეტესად ანტიემიტები არიან.

ლონდონი. სტატუს-სეკრეტარი ჰამილტონი იმწამსვე დაბრუნდა აქ, რა წამსაც ავღანის ემირის გარდაცვალება შეიტყო. ნაშუადღევს საგანგებო კრება მოხდა ინდოეთის საქმეთა საბჭოსი.

პარიზი. საბიუჯეტო კომისიამ გადასწყვიტა მოსპოს სასულიერო უწყებისათვის სახელმწიფო ხარჯები.

პეკინი. იმპერატორის სახლობა 23 სექტემბერს წამოვიდა სიანტუ-დვან კითფენგუსაკენ; აქედან ხანკაუს გზით ჰეკინს მივა.

ლიხუნჩანგი მორჩა და თავის მოვალეობის აღსრულებას შეუდგა.

ბიარისი. დედოფლის ნატალის მახლობელნი უარს ჰყოფენ ზოგიერთ ვაზეთების ცნობას, ვითომ დედოფალს განზრახვა ჰქონდეს კათოლიკეთა სარწმუნოება მიიღოს. ეს ხმა განგებ გავრცელებულია, რომ დედოფალს სახელი გაუტეხონო.

პარიზი. ეკკლესიის „საკრეკერ“-ის წინ ყუშბარა ააფეთქეს. რამდენიმე შუშა და ერთი ფარანი დაიშხრა.

მარსელი. შავის ქირისაგან გარდაიცვალა ზღვაოსანი, რომელიც წუხელის ფიუმედან ჩამოვიდა.

ლონდონი. ქალაქ იოპანესბურგის უფროსად ნაშყოფი, ბურთა სარდალი კრაუზე, სამართალში მისცეს; აბრალებენ სახელმწიფოს ლალატობას და მკვლევობაზე წაქეზებას. ბრალმდებელი სასამართლოს დღევანდელს სხდომაზე ამტკიცებდა, რომ კრაუზემ იოპანესბურგის კომენდანტად ყოფნის დროს დროებითი შერეობა მოახდინა იმ განზრახვით, რომ ლალატობა ჩაეღინა სახელმწიფოს წინაშე და მერე ბურეში აღედგა წინამდებობის სურვილი. ჩააგონა ბურებს, რომ სახელმწიფოები დაეხმარებინან ბრალმდებელი კრაუზეს იმ ბრალს სდებდა კიდევ, რომ იგი მკვლევობასა და ძარცვა-გლეჯაზე აქეზებდა ბურებს.

გრანდ-მარსელი. ახალგაზდა მემბოხე, გვარად რუ, რომელსაც სახელმწიფოს წინაშე ლალატობა და მკვლევობა დაბრალდა — დახვრიტეს.

ნეაპოლი. გუშინ ერთი კაცი კიდევ გახდა ავად შავის ქირით.

პეკინი. ტელეგრაფთა დირექტორი შენგი დანიშნა ჩინეთის კომისარად იმ კომისიაში, რომელიმაც ახალი საეკონო ხელ-შეკრულება უნდა შეიმუშაოს.

ლონდონი. ვაზეთ „Daily Chron.“-ის ატკობინებენ ვაშინგ-

ტონიდგან, რომ ინგლისისა და ამერიკის მთავრობანი შეთანხმდნენ შუა ამერიკის არხის შესახებ. ახალის პირობითი კონკრეტ-ბუღეტის ხელ-შეკრულება ძალას ჰკარგავს და ამერიკის არხის აშენებაში განსაკუთრებით უფლება ეძლევა. არხი თავისუფალ გზად უნდა იყოს ყველა ერთისათვის, მხოლოდ ომიანობის დროს ამერიკას უფლება აქვს ყოველივე საშუალება იხმაროს თავის ინტერესების დასაცვლად. რუსულ-შეკრულება შეეცადა, რომ ეს ხელ-შეკრულება სენატმა დაუყოვნებლივ დაამტკიცოს.

27 სექტემბერი.

პაპუბადი. საომარ დროის წეს-რიგი გამოცხადებულ იქმნა კაბის ახალწენის შემდეგ ოლქებში: ვანბურგსა, სიმონსტაუნსა, პორტ-ელი-საადესა და ისტ-ლონდონში.

პაპუბადი. საომარ დროის წეს-რიგი შემოღებულ იქმნა აგრეთვე, კაპიტაღტსა და კაპუბადის ოლქში.

გაბაზა. ინგლის-ბურების ომის წლის თავზევ დიდს ეკკლესიაში გარდახდილ იქმნა პარაკლისი, რომელსაც ბურების გამარჯვება შესთხოვეს. ლოცვა ტრანსვალიის სავრო ჰიმნით დასრულდა.

ბელგრაძი. ყველა მინისტრები დღეს ნიშში მიდინ, სადაც ხვალ მინისტრებს თათბირი ექმნებათ. მეფე და დედოფალი ხვალ ბელგრაძში დაბრუნდებიან.

სოფია. საპარლამენტო წრეებში ამბობენ, რომ დამატებითი ფული სამხედრო ბიუჯეტისათვის შეიღებოლიანზედ მეტს არ შეადგენსო. ეს ფული გადადებული იქმნება ჯარის უპირველეს საქროებათათვის და არა ახალ ზარბაზნების შესაძენად.

მაინის ვრანკოვუბი. საღამოს საბერძნეთის მეფე მოვიდა.

პანეა. 24 სექტემბერს სულში ინგლისის 12 გემი მოვიდა. ხვალ ეს გემები უთუოდ ხელახლა ზღვაში გავლენ.

მაბაბინოსლაზი. 25 სექტემბერს გახსნილ იქმნა საიმპერატორო სამუსიკო საზოგადოების სამუსიკო საწავლეგელი.

მაბაბინოსლაზი. სექტემბერში გახსნილ იქმნა სამი სასწავლებელი, მათ შორის საკომერციო და მეორე რეალური სასწავლებელი.

მოსკოვი. 26 სექტემბერი. დღეს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში მოხდა წლიური აქტი. ანგარიშით ინსტიტუტში სწავლობდა 200 სტუდენტი, დამთავრა სწავლა 1 ხარისხის აგრონომის წოდებით 32, მეორე ხარისხის—10 და ექვსმაც აგრონომის წოდებით.

კიევი. 29 სექტემბერს უნივერსიტეტში მოხდება საერთო სხდომა კიევის შვიდ სამკურნალო საზოგადოების ვირხის 80 წლის იუბილისის პატივსაცემად.

პროფ. დამსკვიჩის თამჯდობარობით რჩეულ იქმნა კომისია გოგოლის საიუბილეო დღესასწაულის განამართავად. დღესასწაული დანიშნულია 20 თებერვლისათვის უნივერსიტეტში.

ბაზო. შიბავეის ნავთიან ადგილზე, ბიბი ებათში, ცეცხლი წაეკიდა „ვიშკას“ საიდგანაც ნავთის ცემდა. სწრაფად გაძლიერებულმა ცეცხლმა გაანადგურა ნავთის ორი ამბარი და ერთი აუზი, ვიშკა და ერთი ამბარი კასპის-შავის ზღვის საზოგადოებისა და 2 ვიშკაც კორევისა. ცეცხლი, რომელიც

მთელ ღამეს მძინარეობდა, ახლა არ ჩამქრალა. მიწზე დაეძლია ჩენისა არ უწყინა, ზარალი დილია.

ნიშლა. ხაბიბულია ემირად იქმნა გამოცხადებული. მისი ტახტზედ ასვლა კანონიერად სცნეს ძმებმა და ჯარის მთავარმა სარდლებმა. კაბულში მშვიდობიანობაა.

პაპნეზაბენი. ფრანკურტიდგან საბერძნეთის მეფე წავა პარიზში, სადაც ათს დღეს დაჰყოფს. პარიტიდგან ვენაში წავა, სადაც ხუთ დღეს დაჰყოფს.

პეკინი. ჩინგმა მიიღო ოფიციალური ცნობა, რომ იმპერატორის ოჯახი პირველად ლიანში გაჩერდება.

პრატა. არჩევნები სეიში. სოფლის საზოგადოებებმა აარჩიეს: 21 მლადოჩეხი, 15 ჩეხელი აგრარი ჩეხელი რადიკალი, 11 პანგერმანი სტი, 3 ნემცი პროგრესისტი, 3 ნემცი სახალხო დასის წევრი, 2 ნემცი აგრარი, 1 ნემცი სოციალისტი; 25 კაცი კიდევ უნდა არჩიონ.

ბარლინი. ბირჟაზედ ამბობენ, რომ რუსეთის სამხრეთ-აღმოსავლეთის რკინის გზების 4% ობლიგაციების ხელის მოწერაზედ მრავალმა განაცხადა სურვილი.

განცხადებანი

მისალაზი პოპაქანაზი

თბილისის საბაღალხნო მკოლაძი დანიშნულია 27 და 29 ოკტომბრისათვის.

(3—211—1)

29 სექტემბერს ტფილისის სომეხთა ნერსესიან სასულიერო სემინარიის შენობაში დილის 10 საათზედ დანიშნულია საჯარო ვაჰარუბა სხვა-და-სხვა ძველი ხის მასალისა და საკლასო სკამიკებისა, სულ 187 მანეთისა და 95 კაპ. გასასყიდი საგნები შეიძლება მსურველმა ყოველდღე ჰნახოს სემინარიაში.

(1—211—1)

ტფილისის ქალაქის გამგეობა

აცხადებს, რომ 1901 წლის 2 ოქტომბერს, მის თანადასწრებით, შუადღის 12 საათზე მოხდება საჯარო ვაჭრობა, რომელზედაც იჯარით გაიცემა ქუჩის ნაპირების მოკირწყვალი: 1) არსენალის გზა-ტყეცილზე, 800 ოთხ-კუთხი საყენზე; 2) ლაზარევის ქუჩაზე, 300 ოთხ-კუთხი საყენზე; 3) კახეთის გზა-ტყეცილზე, 800 ოთხ-კუთხი საყენზე; 4) რკინის გზის ლიანდაგიდან კატეროვისა და ანტონიევის ქუჩების კუთხემდე, 315 ოთხ-კუთხი საყენზე; სულ სამუშაო 5500 მანეთისა.

ვისაც სურს მონაწილეობა მიიღოს ვაჭრობაში, შეუძლიან განიხილოს დაწვერებითი პირობანი გამგეობის ამწვენელ განყოფილებაში ყოველ დღე კვირა-უქმების გარდა, დილის 9 საათიდგან ნაშუადღევს 3 საათამდე.

(3—5.—1)